Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№25, ივლისი, 2023

თანამედროვე საქართველოში არსებული პოლიტიკური ტენდენციების შედარებითი ანალიზი „Facebook ბლოგინგის“ მაგალითზე

ნათია მამისაშვილი

ქეთევან კუპრეიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: natia.mamisashvili708@sps.tsu.edu.ge

E-mail: Ketevan.kupreishvili559@sps.tsu.ge

აბსტრაქტი

ტექნოლოგიური ეპოქის ჩამოყალიბების კვალდაკვალ სოციალურმა ქსელებმა მსოფლიო პოპკულტურაში დიდი ადგილი დაიკავა. შედეგად, შეიქმნა ვირტუალური სივრცე რომელშიც ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ გამოეთქვა საკუთარი აზრი სხვადასხვა ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ აისახა აღნიშნული პროგრესი ქართულ პოლიტიკურ კულტურაში და რამდენად იქცა ის მოქალაქეთა ქცევის მოდელად? იმისთვის, რომ მოცემულ კითხვებზე გაგვეცა პასუხი, ავირჩიეთ საქართველოში ყველაზე გავრცელებული სოციალური ქსელი - „ფეისბუქი“ და სამი განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომლებიც ხელს უწყობენ მოცემულ პლატფორმაზე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის წარმოჩენასა და მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიტანას. როგორც ვხედავთ, ქართველებისთვის სოციალური ქსელები პოლიტიკური ამბების გასაშუქებლად კარგი ხელსაწყოა. ამასთანავე, აღნიშნული საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ აკადემიურ სივრცეში, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ის აქტუალურია და ფართო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი. ნაშრომში ვიყენებთ იურგენ ჰაბერმასის „საჯარო სფეროს“ თეორიას, რომელიც იკვლევს საჯარო დისკურსისა და კომუნიკაციის როლს დემოკრატიულ საზოგადოებებში. მოცემული თეორია გვაძლევს იმის გაანალიზების საშუალებას, თუ რა გავლენას ახდენს Facebook-ის პლატფორმა საზოგადოებრივ აზრზე და როგორ ასახავს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

კვლევის მიზანია, გამოკვეთოს საქართველოში არსებული აქტუალური პოლიტიკური ტენდენციები ფეისბუქის ელექტრონული ჟურნალის ჩანაწერებზე, ე.წ. „პოსტებზე“ დაყრდნობით და გამოიკვლიოს იმ საზოგადო მოღაწეების იდეოლოგიური ხედვები, რომლებიც მოცემულ ონლაინტექსტებს ავრცელებენ. შესაბამისად, საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება - როგორ ასახავენ ცნობილი მწერლები და სხვა ცნობილი პირები საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ყოფა-ცხოვრებას ფეისბუქის პოსტებში? კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ონლაინტექსტებში იკვეთება როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე და ცენტრისტული ტენდენციები. განსხავავებული იდეოლოგიური ხედვების შესაბამისად სხვადასხვაგვარად წარმოჩნდება თანამედროვე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, თუმცა არსებობს გარკვეულ საკითხთა შორის მსგავსებებიც.

საკვანძო სიტყვები: *„ბლოგინგი“; „Facebook პლატფორმა”; „პოლიტიკური ტენდენციები“; „საქართველო“*

შესავალი

XXI საუკუნეში პოლიტიკური მეცნიერებების სფეროს უკვე აქტიურად დაუკავშირდა ტექნოლოგიური სიახლეები, უფრო კონკრეტულად, სოციალური ქსელები. ისინი დღეს საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობენ, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეულის მანძილზე, მათი დახმარებით ხომ ადამიანებს ცენზურის ფარგლებში საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გაზიარების საშუალება ეძლევათ. მათზე თვალის მუდმივი მიდევნება გვაძლევს იმის დადგენის საშუალებას, თუ როგორ არიან ადამიანები განწყობილნი ამა თუ იმ კონკრეტული პოლიტკური საკითხის მიმართ, რა სახის ტენდენციებს ავლენენ, რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი პოლიტიკურ პროცესებში, როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ რეჟიმში. ეს ყოველივე ბლოგინგში, რომელიც web 2.0-ის გაჩენის შედეგია, ნათლად წარმოჩნდება.

საქართველოში ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელად შეგვიძლია Facebook-ი მივიჩნიოთ. CRRC-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, Facebook-ს ქართველი მოსახლეობის 79% კვირაში ერთხელ მაინც სტუმრობს (CRRC, 2015). პლატფორმას, მსოფლიოში თვეში 3 მილიარდი მომხარებელი ჰყავს, მათი ნაწილი - 58,9% Facebook-ს საკუთარი აზრებისა და დამოკიდებულებების გაზიარებისთვის იყენებს (Oberlo, 2023). ამგვარი აქტიურობა ქმნის დღის წესრიგს, რომლის დიდ ნაწილს პოლიტიკური ონლაინტექსტები შეადგენს. საზოგადო მოღვაწეებს, პუბლიცისტებს შეუძლიათ დაუფარავად გაავრცელონ საკუთარი იდეები და ამგვარად ზეგავლენა მოახდინონ მომხმარებელთა აზროვნებაზე. ამგვარად, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სოციალური ქსელი გახდა ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი წყარო, ხოლო Facebook ბლოგინგი - მთავარი იარაღი ადამიანებთან მოსაზრებების გასაზიარებლად. აღნიშნული სოციალური ქსელის ეს ფუნქცია განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა საზოგადო მოღვაწეებისა თუ აქტივისტებისთვის, რადგან მათ მიეცათ ქართულ სოციუმთან უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობა. შეიქმნა პოლიტიკური დიალოგიების წარმოებისთვის სივრცე, რომელშიც მწერლები თუ სხვა ცნობილი პირები თავიანთი თვალით დანახულ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას ასახავენ ბლოგების საშუალებით და „პოსტებს“ მკითხველებსაც უზიარებენ. ქართული ბლოგები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. არსებობს პერსონალური (მათ აქვეყნებენ აკა მორჩილაძე, ზაზა ბურჭულაძე, დავით ჩიხლაძე, სალომე ბენიძე, ანა სამადაშვილ-კორძაია), პროფესიონალური (ნიკო ნერგაძე, გოგი გვახარია, ია ანთაზე, მერაბ მეტრეველი), პოლიტიკური (თავის დროზე - კახა ბენდუქიძე, გია ნოდია, სერგო რატიანი, ზურაბ ჯაფარიძე) ბლოგები, რომლებსაც განსხვავებული აუდიტორია და მსმენელი ჰყავთ. ამის გარდა, Facebook სტატუსების გამოქვეყნებით აქტიურნი არიან ცნობილი მწერლებიც, როგორებიც არიან ლაშა ბუღაძე, ზურაბ ქარუმიძე, ერეკლე დეისაძე, რატი ამაღლობელი. თითოეული ჟანრის ონლაინტექსტებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია განვსაზღვროთ ბლოგების ორგვარი ხასიათი.

პირველი ნაწილი შექმნილია კომერციული მიზნით, განპირობებული ცნობადობის ამაღლების სურვილით, ხოლო მეორე - არაკომერციული, ემსახურება საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებასა და დემოკრატიის განმტკიცებას სოციუმისთვის აქტუალური თემების წინ წამოწევით.

თუმცა, სუბიექტურობისგან დაცული არავინაა. ამასთანავე, იქმნება ზნეობრიობის, სანდოობისა და საწრმუნოობის დაკარგვის საფრთხეც (შამილიშვილი, 2012).

ვინაიდან Facebook ბლოგინგის დახმარებით საზოგადოება სხვადასხვა რაკურსიდან იღებს ინფორმაციას პოლიტიკური ვითარების შესახებ, ვთვლით, რომ აღნიშნულ პლატფორმაზე განთავსებული ბლოგები პოლიტიკური პროცესების სხვადასხვა კუთხით გაანალიზების კარგი საშუალებაა. ის გვაძლევს პოლიტიკური ვითარების შესახებ იმ ინფორმაციაზე წვდომას, რომელსაც საზოგადო მოღვაწეები ავრცელებენ საკუთარი იდეოლოგიური ხედვებიდან გამომდინარე (Tufekci, 2014). „ბლოგერებს“ ჰყავთ ფართო აუდიტორია, რომელიც მათ იდეებს იზიარებს. „პოსტების“ დამწერთა გარშემო იკრიბებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ავტორთა მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები აქვთ. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ „ინტერნეტულ მასმედიაში“ Facebook ბლოგინგი პოლიტიკას მჭიდროდ უკავშირდება. ამას ადასტურებს Facebook „პოსტების“ მეშვეობით სოციუმის იმ ნაწილის ინფორმირებულობის დონის გაზრდა, რომელიც თავიდან პოლიტიკურად პასიური იყო და ქვეშევრდომობის კულტურას ავლენდა, თუმცა, ონლაინტექსტებმა პოლიტიკური მოვლენების გააზრება გაუადვილა. ინფორმირებულობა კი, თავის მხრივ, ზრდის პოლიტიკურ მოვლენებში ჩართულობის დონეს. ამგვარად, საჯარო პირებს, საზოგადო მოღვაწეებსა და მათ მიმდევრებს შორის ონლაინ ინტერაქციის ჩამოყალიბების საშუალებით ფეისბუქ ბლოგინგი ზრდის პოლიტიკაში ჩართულობისა და ურთიერქმედების დონეს (Ellison & Vitak & Gray & Lampe, 2014). თუმცა, საჭიროა, Facebook ბლოგინგი სხვა მხრიდანაც დავინახოთ. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ქსელში პიროვნებებს აზრის გამოხატვა შეუძლიათ შეუზღუდავად, ზოგიერთმა „პოსტმა“ შეიძლება საზოგადოების განწყობებზე უარყოფითი გავლენა იქონიოს - აპათია ან ნიჰილიზმი დაბადოს მოქალაქეებში, რასაც საბოლოოდ „მთვლემარე ძაღლის“ პოზიციამდე მივყავართ (ჰეივუდი, 2003).

ჩვენი კვლევა ფართო საზოგადოებისთვის იმიტომ არის საინტერესო, რომ აქამდე ჯერ არავის განუხილავს ქართული Facebook ბლოგები სხვადასხვა იდეოლოგიურ ჭრილში. ნამდვილად საინტერესოა, თუ რა თვალით უყურებენ განსხვავებული ხედვების მქონე საზოგადო მოღვაწეები თანამედროვე ქართულ რეალობას. რა მთავარ თემებს, საკითხებს მიიჩნევენ მნიშვნელოვნად და რა პრობლემებს გამოყოფენ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე. ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით კი სოციალური ქსელის, როგორც პოლიტიკური „მაცნეს“ როლის კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია. კვლევის მიზანია, დაადგინოს, თუ რა პოლიტიკური ტენდენციები იკვეთება თანამედროვე საქართველოში სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე ავტორთა Facebook ბლოგებზე დაყრდნობით. შესაბამისად, საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება - როგორ ასახავენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და სხვა ცნობილი პირები საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას Facebook პოსტებში? კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ აღნიშნულ პლატფორმაზე იკვეთება, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე და ცენტრისტული პოლიტიკური ხედვები. ნაშრომში ვიყენებთ პოლიტიკური ტენდენციის ცნებას, რაშიც მოიაზრება სახელმწიფო სტრუქტურის, მთავრობის, პოლიტიკური რეალობის შესახებ ტიპური, განმეორებადი მოსაზრებები, ასევე, რწმენა, რომელიც ხშირად იკვეთება პოლიტიკურ დღის წესრიგში.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, შინაარსობრივი კონტენტ-ანალიზი, რათა სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა ბლოგების შინაარსი. კვლევის წარმოებისთვის ავარჩიეთ „Facebook“ პლატფორმა, რადგან ის ყველაზე ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, შესაბამისად, ქართველები სწორედ აღნიშნული სოციალური ქსელის დახმარებით უფრო ხშირად აფიქსირებენ საკუთარ პოლიტიკურ მოსაზრებებს.

იმისათვის, რომ კვლევა ყოვლისმომცველი ყოფილიყო, შევარჩიეთ 3 განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ცნობილი ქართველი პიროვნება, კერძოდ, ირაკლი კაკაბაძე, ნათია ფანჯიკიძე და ლაშა ბუღაძე, რათა ყველა მხრიდან წარმოგვეჩინა თანამედროვე ქართული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ საზოგადოებაში გაბატონებული ხედვები და წარმოდგენები. გამოვიყენეთ ამ ავტორთა ის Facebook ბლოგები, რომლებშიც ყველაზე ნათლად ვლინდება თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტენდენციები და აქტუალური, პრობლემური საკითხები.

აღნიშნული საკითხი თეორიულ ჭრილში თითქმის არ არის შესწავლილი. თუმცა, იმის ასახსნელად, თუ როგორ ასახავს Facebook-ის ბლოგები ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ნაშრომში შეგვიძლია გამოვიყენოთ იურგენ ჰაბერმასის „საჯარო სფეროს“ თეორია, რომელიც იკვლევს საჯარო დისკურსისა და კომუნიკაციის როლს დემოკრატიულ საზოგადოებებში. ამ თეორიის მიხედვით, საჯარო სფერო არის სივრცე, სადაც მოქალაქეები იკრიბებიან რაციონალური დისკუსიის, აზრების გაცვლისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის (Habermas, 1989). შევეცდებით, რომ ეს თეორია მაქსიმალურად მოვარგოთ ზემოხსენებულ თემას.

Facebook ბლოგების კონტექსტში, „საჯარო სფეროს“ თეორია შეგვიძლია გამოვიყენოთ იმის გასაგებად, თუ როგორ ემსახურება ეს პლატფორმა ვირტუალურ სივრცეებში პოლიტიკური დისკუსიებისა და დებატების წარმოებას. Facebook-ის სტატუსები ადამიანებს იმის საშუალებას აძლევს, რომ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, გააზიარონ პოლიტიკური შინაარსის შემცველი ინფორმაცია და ჩაერთონ დისკუსიებში სხვებთან. ეს ურთიერთქმედებები ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას და აყალიბებს პოლიტიკურ დისკურსს ქვეყანაში.

ბლოგებში არსებული დისკუსიების შესწავლის საშუალებით შესაძლებელია იმის გაგება, თუ როგორ აყალიბებენ ადამიანები თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს ვირტუალური ურთიერთქმედების საფუძველზე. თეორია გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ მოქმედებს Facebook-ის ბლოგი, როგორც ციფრული საჯარო სფერო, რომელიც ასახავს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, წარმოაჩენს აზრთა მრავალფეროვნებას, გარკვეული ნარატივების გავრცელებას, პოლიტიკურ საკითხებში საზოგადოების მონაწილეობის დონესა და ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტს.

საერთო ჯამში, „საჯარო სფეროს“ თეორია გვაძლევს იმის გაანალიზების საშუალებას, თუ რა გავლენას ახდენს Facebook-ის პლატფორმა საზოგადოებრივ აზრზე და როგორ ასახავს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის მიზნიდან გამომდინარე სამეცნიერო ლიტერატურის კვლევა მნიშვნელოვანია. ამ მხრივ, საინტერესოა, თუ როგორაა აღწერილი აკადემიურ წყაროებში ბლოგინგის გავლენა პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნაზე.

ბლოგერობა ყოველდღიურ პოლიტიკურ მოვლენებზე ინფორმაციის მიწოდებით „სამოქალაქო ჟურნალისტიკის“ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამ მხრივ, საქართველოში გამოირჩევიან ლაშა ბუღაძე, აკა მორჩილაძე, ერეკლე დეისაძე, რატი ამაღლობელი და სხვა. ისინი გამოხატავენ მოქალაქეობრივ პოზიციას საზოგადოებისთვის სენსიტიური თემის აქტუალიზების მეშვეობით. მათი მიზანი საქართველოს დემოკრატიულობის უზრუნველყოფაა. თუმცა, ამავე დროს, უნდა გამოიკვეთოს ბლოგერობის უარყოფითი მხარეც, რაც ინფორმაციის არასანდოობასა და სუბიექტურობაში გამოიხატება, რის გამოც იზრდება არასწორი ამბების გავრცელებისა და პროპაგანდის საფრთხე (შამილიშვილი, 2012).

აღნიშნული სტატიის გარდა, ქართულ აკადემიურ სფეროში მეტად რთული მოსაპოვებელია სხვა წყაროები, რომლებიც ბლოგინგის როლს სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობაში მკვეთრად გამოხატავენ, რის გამოც საჭირო გახდა უცხოურ წყაროებზე დაყრდობა აღნიშნული თემის სიღრმისეულად წარმოდგენისთვის. ეს კი საკითხის კვლევის აუცილებლობას კიდევ უფრო ზრდის.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ Facebook კონტენტის გაანალიზებით შესაძლებელია პოლიტიკური მოვლენის უკეთ გააზრება, პოლიტმესიჯების გავრცელება, ადამიანთა საქციელზე ზეგავლენის მოხდენა, მნიშვნელოვან ინფორმაციებზე წვდომის მიღება. პოლიტიკური ინფორმაციის გაცვლისთვის ფეისბუქ ბლოგები მომხმარებელს სთავაზობს სივრცეს. ტექსტების შესწავლის საშუალებით შესაძლებელია პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებული საკითხების შესახებ მსჯელობა. ამაში დიდი როლი უკავია ფეისბუქის სტრუქტურასა და ალგორითმულ მექანიზმებს. Facebook-ის ალგორითმები პრიორიტეტს ანიჭებენ კონტენტს, რომელიც წარმოქმნის ჩართულობის მაღალ დონეს. შედეგად, ინფორმაცია ფართო აუდიტორიისთვის ელვის სისწრაფით ვრცელდება და აღწევს დიდ აუდიტორიამდე (Bakshy & Adamic, 2015). ისეთი ურთიერთქმედების საშუალებით, როგორიცაა მოწონებები, კომენტარები და გაზიარებები, პოსტები შეიძლება გახდეს ხილული და პოტენციურად გავლენა მოახდინოს სხვების მოსაზრებებზე. როდესაც ადამიანები ხედავენ, რომ მათი თანატოლები აზიარებენ ან გამოხატავენ მხარდაჭერას კონკრეტული პოლიტიკური გზავნილის მიმართ, ისინი უფრო მეტად იზიარებენ მას, რითაც სანდოობა მოცემული საკითხის მიმართ იზრდება.

სწორედ თანამოაზრეებთან დაკავშირებითა და კომუნიკაციის ხელშეწყობით პოსტები ადამიანებს შესაძლებლობას აძლევენ, რომ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ აქტივობებში. მათ შეუძლიათ

მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ხალხის მობილიზებასა და პოლიტიკური აქტივობის სტიმულირებაში. მომხმარებლებს შეუძლიათ, გამოიყენონ ეს პლატფორმა პოლიტიკური საკითხების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, ღონისძიებების ორგანიზებისა და მხარდაჭერის მობილიზებისთვის. მომხმარებლები, რომლებიც პოლიტიკურ კონტენტთან ურთიერთობენ, უფრო მეტად იღებენ მონაწილეობას ისეთ პოლიტიკურ აქტივობებში, როგორიცაა ხმის მიცემა, მიტინგებზე დასწრება ან ოფლაინ პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობა (Tufekci, 2014).

Facebook-ის ბლოგები გადამწყვეტ როლს თამაშობენ პოლიტიკური შინაარსის გავრცელებაში. მომხმარებლები აზიარებენ ახალ ამბებს, სტატიებს, ვიდეოებს, რომლებიც შეიძლება სწრაფად გავრცელდეს პლატფორმაზე. ფეისბუქის ბლოგების ვირუსულად გავრცელებამ შეიძლება წარმოაჩინოს ის საკითხები, რომლებიც მძაფრად ეხმიანება მომხმარებლების მოსაზრებებს, რაც პოტენციურად მიუთითებს ქვეყანაში გარკვეული პოლიტიკური თემების აქტუალობასა და მნიშვნელობაზე.

ამასთანავე, Facebook-ის ბლოგები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, რომ მათ გამოხატონ თავიანთი განწყობები პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ადამიანებს შეუძლიათ, სხვებს გაუზიარონ თავიანთი რეაქციები, მოსაზრებები და პირადი გამოცდილება პოლიტიკასთან დაკავშირებით. აღნიშნულ სოციალურ ქსელში გამოხატული განწყობების გაანალიზებით, მკვლევრებს შეუძლიათ, მიიღონ ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ მოვლენებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული კოლექტიური აზრის შესახებ. პოლიტიკოსების მიმართ გამოხატული დადებითი ან უარყოფითი ემოციები შეიძლება ასახავდეს საზოგადოებრივ მოსაზრებებსა და „პოლიტიკურ კლიმატს“. Facebook-ის ბლოგებზე განწყობის, დისკურსის, მობილიზაციის გაანალიზებით, მკვლევრები იღებენ დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აყალიბებს და ასახავს ქვეყნის პოლიტიკურ ლანდშაფტს საზოგადოების განწყობილება, ჩართულობა და მონაწილეობა.

ამის გარდა, Facebook ბლოგები ასახავს, თუ როგორ მონაწილეობენ მომხმარებლები დისკუსიებში, კომენტარს აკეთებენ პოსტებზე და იზიარებენ ალტერნატიულ თვალსაზრისებს, რაც ხელს უწყობს აზრთა და შეხედულებების მრავალფეროვნებას. აღნიშნულ სოციალურ ქსელებში გაბატონებული პოლიტიკური მოსაზრებების გაანალიზებამ შეიძლება წარმოადგინოს ქვეყანაში აქტუალური ნარატივები, იდეოლოგიური განხეთქილებები და პოლიტიკური დისკურსი. მას ასევე შეუძლია ხაზი გაუსვას ყველაზე საკამათო საკითხებს და მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის მიერ წამოყენებულ სხვადასხვა არგუმენტს (Jungherr, 2016). მნიშვნელოვანია გვესმოდეს, მიუხედავად იმისა, რომ Facebook ბლოგებს შეუძლია, ხალხს მიაწოდოს ღირებული ინფორმაცია, ის არ ასახავს მთელი მოსახლეობის შეხედულებებს და ალგორითმულ ფილტრაციასთან დაკავშირებულმა მიკერძოებამ შეიძლება გავლენა იქონიოს კონტენტსა თუ ჩართულობაზე. ამრიგად, ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის ყოვლისმომცველი ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს მონაცემთა მრავალ წყაროს და გამოიყენოს შესაბამისი მეთოდოლოგიები ამ პოტენციური მიკერძოების გასათვალისწინებლად (Papacharissi, 2016).

შეუძლებელია არ აღინიშნოს Facebook პლატფორმაზე ბლოგინგის კიდევ ერთი უარყოფითი მხარე. აღნიშნულ სოციალურ ქსელში ადამიანები თავიანთ გვერდებზე ინფორმაციულ ვაკუუმს განიცდიან იდეოლოგიური შეხედულებების გამო. უფრო კონკრეტულად, მომხმარებლები ექვემდებარებიან ალგორითმულ ფილტრაციას, ამიტომ უფრო მეტად აწყდებიან იმ კონტენტს, რომელიც შეესაბამება მათ ღირებულებებს. ეს იწვევს იდეოლოგიური სეგრეგაციის ფენომენს, როდესაც თანამოაზრეები სოციალურ ქსელებში ჯგუფების ფორმირებას ახდენენ. მომხმარებლები უფრო ხშირად აზიარებენ იმ ინფორმაციას, რომელიც იზიარებს მათ იდეოლოგიურ შეხედულებებს, რაც ზღუდავს საპირისპირო მოსაზრებების გავრცელების საშუალებას. ამან, შესაძლოა, ხელი შეუწყოს პოლიტიკური დისკურსის პოლარიზაციას Facebook-ზე. პოლიტიკური ბლოგების იდეოლოგიურმა შემადგენლობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანების აღქმებზე, დამოკიდებულებებსა და პოლიტიკურ ქცევაზე, რაც პოტენციურად გააძლიერებს საზოგადოებაში არსებულ იდეოლოგიურ დაყოფას. ეს კი საფრთხის ქვეშ აყენებს ინფორმირებული და დაბალანსებული საზოგადოებრივი დისკურსის განვითარებას (Bakshy & Adamic, 2015).

ძირითადი ნაწილი

ლაშა ბუღაძე

ქართველი მწერალი ლაშა ბუღაძე მეტად აქტიურია სოციალურ ქსელში, განსაკუთრებით კი ფეისბუქ პლატფორმაზე, სადაც ის მუდმივად აქვეყნებს სხვადასხვა სახის პოსტებს, მემარჯვენე პოზიციის სტატუსებს, საკუთარი ლიბერალური ხედვიდან/ნარტივიდან გამომდინარე. ის ხშირად აკრიტიკებს პრორუსულ დამოკიდებულებებს, რომლითაც ძირითადად ხასიათდებიან კულტურად კონსერვატიული და ეკონომიკურად მემარცხენე მმართველი პარტიები.

მისი აზრით, დღეს მსოფლიო განვითარებული ლიბერალური დემოკრატიის ფაზაშია გადასული, სადაც ადამიანებს გააჩნიათ ის მთავარი ღირებულებები, რაც დემოკრატიის შენებასა და ადამიანის თავისუფლებასთანაა დაკავშირებული. ის თვლის, რომ ინდივიდუალიზმი, პიროვნული ავტონომია, როგორც მოქალაქის გამოხატვის თავისუფლება, უმთავრესი ღირებულებაა და დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება კამათის საგანი. ამის მიზეზი ისაა, რომ მოსახლეობა ავტორიტარიზმისა და ოლიგარქიის „მორალურ დილემებში“ ცხოვრობს, სადაც სახელმწიფო ადამიანების პირად ცხოვრებაში ერევა, მის სახლში აღწევს. ბუღაძის აზრით, დღეს ისეთ რეალობაში გვიწევს ცხოვრება, სადაც პოლიტიზებული, „მარად-მედროვე“ მოსამართლეები უკანონოდ სჯიან უდანაშაულო ადამიანებს. მწერალი ფიქრობს, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ყველანაირი კონკურენცია გაქრა, სახელმწიფო არ აძლევს ლიბერალიზმზე დამყარებულ შესაძლებლობებს გასაქანს მაშინ, როდესაც ყველა ინიდივიდს წარმატების მიღწევის თანაბარი შანსი ენიჭება, ხოლო ისინი ამ შანსს ადამიანებს ხელიდან ართმევენ. მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი მხოლოდ „რუსული“ მარიონეტების საახლობლო წრის ნათესაობაა. ის, რაც ლიბერალიზმს ასაზრდოებს, გამქრალია, რადგან „ადამიანები უმეტესად არა დამსახურების, არამედ პატრონთა მომსახურების გამო ხვდებიან იქ, სადაც მათი ადგილი არაა“.

საუბედუროა ის ფაქტი, რომ მმართველებს „მართულთა თანხმობა“ სჭირდებათ. საქართველოში ეს იდეა ოლიგარქის ხელშია მოქცეული, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებსა თუ კანონებს მხოლოდ

რუსეთისთვის, რათა კაპიტალი და ძალაუფლება შეინარჩუნოს „რუსულ მაზრაში“, რომელსაც „მოსკოვის ბაზრებსა და მათ დახლებზე“ დახარჯავენ მხოლო მისი „გრუზინ-ბიზნესმენ-პოლიტიკოსები“. ბუღაძე რამდენიმე ჭრილში თავისუფლების იდეასა და ღირებულებას უსვამს ხაზს: „თავისუფლება არ ასუსტებს, პირიქით, გვაძლიერებს“ . ფიქრობს, რომ პროპაგანდისტული დემაგოგია „აბა, ომი გინდათ“, სწორედ უპირისპირდება ადამიანების პიროვნულ თავისუფლებას, იბრძოლონ მტრის წინააღმდეგ, სიტყვითა და საქმით მაშინ, როცა რუსეთი პირდაპირ თუ ირიბად ცდილობს ჩვენი ქვეყნის „შესრუტვას“, ხოლო მთავრობა ამ გეგმის შესრულებაში მთავარი მონაწილეა. რადგან ჩვენ ლიბერალიზმისკენ კი არა, არამედ „ივანიშვილიზმისკენ“ მივდივართ, იქ სადაც ტოტალური რეჟიმი გველის. ამ თემაზე ის საკუთარ პუბლიკაციაშიც საუბრობს, სახელად „პეიჯერი“, სადაც ყურადღებას ამახვილებს ერთი კონკრეტული პიროვნების სათავეში დაუსრულებლად არსებობაზე, როგორ იწყებს ლპობას სისტემა, თუ მასში არ ხდება ცვლილება.

ის, რომ ლიბერალიზმისთვის და კაპიტალიზმისთვის ტექნოლოგიური განვითარება მთავარ პირობას წარმოადგენს, ცხადია, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ მუდმივად „ერთი ტელეფონი გვიდევს“ ისევე შეუცვლელად, როგორც ამ სისტემაში პოლიტიკოსები.

დღევანდელი პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, საქართველო თავისუფალი მედიის სერიოზულ კრიზისს განიცდის. ბუღაძე აღნიშნავს, რომ ქართული მედია, კონკრეტულად კი „ფორმულა“ არის ქართული საზოგადოების მთავარი მოკავშირე, რომელიც საქართველოს რუთესიგან გათავისუფლებასა და ევროპეიზაციას უჭერს მხარს და ცდილობს, ამ ფასეულობებით იმუშაოს. არსებული საკითხი 2023 წელს გახდა აქტუალური, მას შემდეგ, რაც „ფორმულას“ მფლობელის მიმართ მორალური კითხვის ნიშანი გაჩნდა და მისი რეპუტაცია საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ამ საკითხს კი ბუღაძე გამოეხმაურა პოსტით, სადაც აღნიშნა, რომ საჭიროა თავისუფალი მედიის დაცვა და ის, თუ რა პრობლემა დგას ამ არხის უკან, მეორეხარისხოვანია. იგი მიიჩნევს, რომ მფლობელის რეპუტაცია სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ხოლო ხალხი შეეცადოს დაიცვას მედია და გამოხატოს თავისი სათქმელი. მისი აზრით, დამოუკიდებელ მედიას ქმნიან ჟურნალისტები, ამიტომ საჭიროა დაფასდეს მათი შრომა და ყველა ის დიდი სიკეთე, რაც მათ აქვთ საზოგადოებისთვის გაკეთებული და არ გადაიფაროს კონკრეტული პირების რეპუტაციით, რადგან დღეს მსგავსი თავისუფლება იშვიათია. ძირითადად ვხვდებით ისეთ მედიებს, სადაც მუშაობს პროპაგანდისტული მანქანები, რომელნიც „ურეპუტაციონი“ არიან და ამის მაგალითად სამთავრობო არხ „იმედს“ ასახელებს.

გარდა ამისა, ბუღაძემ საკუთარ ბლოგში ისაუბრა ქალების როლზე პოლიტიკაში, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს მათ პოზიციას. დროთა განმავლობაში, რაც უფრო ვრცელდება ლიბერალიზმის იდეა საქართველოში, უფრო ხშირია საუბარი იმაზე, თუ როგორ დაიღალა საზოგადოება ვიწრომხედველი, „კაპიტალის“ და ძალაუფლების მქონე მამაკაცების დომინანტობით პოლიტიკაში. მისი მოსაზრებით, მარტის აქციების „სახე“ ნანა მალაშხია იყო. ეს წარმოადგენს იმის ნიშანს, რომ დღეს „ქალთა კრება“ არის წამყვან როლში, იქ სადაც ევროპული კულტურული ღირებულებებია და არა ძველი, ოდიოზური ხედვები. ავტორმა ყურადღება გაამახვილა ქალი პრეზიდენტის იმიჯზეც - თუ რა გავლენა აქვს მას და აჩენს თუ არ სურვილს სხვა ქალებში, იყვნენ მოწოდებულნი

პოლიტიკური ბძოლისთვის. მისივე აზრით, ლიბერალურმა ხედვებმა უბიძგა ქალებს მეტად ჩართულიყვნენ პოლიტიკაში, შეეჩერებინათ არჩევანი, გამოეხატათ თავიანთი სათქმელი.

ასევე, მწერალს ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია მარტის აქციები და „რუსული კანონის" წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ გამოხატვის თავისუფლება ეს ლიბერალიზმის განუყოფელი ნაწილია, თუმცა ბუღაძე ამბობს, რომ დღევანდელი ლიბერალურად განწყობილი საზოგადოება ავტორიტარული მმართველების „კლანჭების" ქვეშ მოექცა. ის ამბობს, რომ თუ საქართველო არ მიიღებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, მაშინ ჩვენ აღმოვჩნდებით რუსეთში. დღეს ჩვენი ქვეყნისთვის უპირველესი ამოცანა სწორედ ლიბერალურ პრინციპებზე დამყარებული ევროპული გზის გავლაა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ლაშა ბუღაძე ხასიათდება ლიბერალური პოლიტიკური ხედვებით. ის მიიჩნევს, რომ ჩვენი გზა ევროპაშია, იქ სადაც ლიბერალიზმი პირველად დაიბადა. ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი მიზანი კი ამ ავტოკრატიული და ოლიგარქიული მართველობის დასრულებაა მშვიდობიანი არჩევნების ჩატარებით გზით, რათა „პეიჯერივით" ძველი პოლიტიკოსები არ დარჩნენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ლიბერალიზმი ხომ ქადაგებს ცვლილებებსა და მრავალფეროვნებას. საჭიროა საზოგადოების მეტად ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას, განვითარებას, ჯანსაღი არჩევნების ჩატარებას, რაც ადამიანებს საკუთარი აზრის სამართლიანად გამოხატვისა და პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულების საშუალებას მისცემს. ბუღაძე მიიჩნევს, რომ საჭიროა სამართლიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა მედიაში, განათლებაში, პოლიტიკაში, რათა შევძლოთ პლურალისტური დემოკრატიული ინსტიტუტების შენება. მისი აზრით, ყველაზე დიდი ძალა სწორედ ხალხია და ხალხმა საკუთარი ძალებით უნდა შეცვალოს რეჟიმი, რათა გავაგრძელოთ გზა ევროინტეგრაციისაკენ. სწორედ მოცემული ხედვებიდან გამომდიანარე, მისი დამოკიდებულება საკითხების მიმართ შეიძლება ჩაითვალოს ლიბერალურად.

ნათია ფანჯიკიძე

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე აქტიურად იყენებს Facebook პლატფორმას საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებების გამოსახატად. საინტერესოა საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ მისეული ხედვები, რომლებიც ცენტრისტული პოლიტიკური ტენდენციებით ხასიათდება.

უპირველეს ყოვლისა, მისი ცენტრისტული იდეოლოგია ვლინდება სახელმწიფოს სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ხალხისა და ხელისუფლების დაბალანსებული მოქმედების იდეის მხარდაჭერაში. პუბლიკაციებში ის ხშირად ხაზს უსვამს ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლებისა და პირადი პასუხისმგებლობის მნიშვნელობას. მაგალითად, 2023 წლის მარტის საპროტესტო აქციებზე ლაზარეს დაკავებას ის თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობად მიიჩნევს - „პასუხისმგებლობის მიტინგზე მყოფ ყველა ადამიანზე განაწილების მომხრე ვარ, ლაზარეს თავისუფლების მოთხოვნით."

ის, ასევე ემხრობა ადამიანთა ცხოვრებაში მთავრობის შეზღუდულ როლს, რათა პიროვნებებმა გააკეთონ თავისუფალი არჩევანი და მიიღონ ინდივიდუალური გადაწყვეტილებები. ფანჯიკიძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სათავეში მყოფები მოსახლეობის სრულ დეჰუმანიზაციასა და სიძულვილის გაღვივებას ესწრაფვიან, ქართველი ერი ჯანსაღია, გონიერი და ამავე დროს შინაგანად სამართლიანი, რადგან იცის მტრისა და მოყვარის გარჩევა, სავალი გზის ამორჩევა. ქართველებმა გააკეთეს არჩევანი, როდესაც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას მხარი დაუჭირეს. ამიტომ „საქართველო თავისუფალია. მონური განწყობები საბოლოოდ ქრება და ქრება, მიდის მოუსავლეთში“. ჩვენს ქვეყანას პოლიტიკური გეზი უკვე აღებული აქვს და მას მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს, ამიტომ საქართველო აუცილებლად გახდება ევროპის ნაწილი.

ნათია ფანჯიკიძის აზრით, ყოველივე ზემოაღნიშნულის აღსასრულებლად ქვეყნის თვითმიზანი უნდა იყოს ჰუმანური სახელმწიფოს მშენებლობა, რომელშიც ადამიანს სიტყვის, რელიგიისა და შეკრების თავისუფლების საშუალება მიეცემა. მისი აზრით, ჩვენი ქვეყანა დღესდღეობით ამ გზაზე დგას. თანამედროვე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ახალგაზრდათა ჩართულობა კი ამის დამადასტურებელი მაგალითია. ნათელია, რომ პოლიტიკაში ახალგაზრდების სახით ახალი ენერგია შეიჭრა, რომელიც „ერის დედების" და "ერის მამების" თაყვანისცემის ტრადიციას ვერ აიტყეპებს, რადგან მათ შინაგან სურათებში ბელადები არ არსებობენ.“ მისი აზრით, „საქართველო ის ქვეყანაა, სადაც უამრავი ნამდვილი გმირი იბადება, მეცნიერებიც, არტისტებიც და უბრალოდ საუკეთესო მოქალაქეები, რომლებიც 24-საათიანი შრომის ფასად მოქმედს ხდიან ამ ფერდებმორყეულ, ხალხისგან სანახევროდ დაცარიელებულ ქვეყანას“. სწორედ ამგვარი მოსახლეობა უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურობას თანდათანობითი რეფორმების საშუალებით, თუმცა ამას ხანგრძლივი დრო დასჭირდება - „ახლა თვისებრივად ახალი ვერაფერი მოხდება.“

მის ცენტრისტულ შეხედულებებში იკვეთება ინკლუზიურობა. ის ხშირად ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანას სჭირდება მრავალფეროვნება და მრავალპარტიულობა. მემარცხენე განხრაც ჩანს, როდესაც ემხრობა ისეთ სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობებზე ხელმისაწვდომობას, როგორიცაა წამალი, საკვები, საცხოვრებელი ადგილი, განათლება. ამასთანავე, ის ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს მშრომელთა უფლებების დაცვასა და ლგბტ თემის მხარდაჭერას, რაც ლიბერალიზმის გამოხატულებაა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ნათია ფანჯიკიძე ცენტრისტული იდეოლოგიური ხედვებით გამოირჩევა, თუმცა არსებობს გარკვეული საკითხები, რომელთა შესახებ მას მკვეთრად მემარცხენე ან მემარჯვენე შეფასებები აქვს.

ირაკლი კაკაბაძე

ცნობილი ქართველი მწერლის, ირაკლი კაკაბაძის თვალით დანახული საქართველო, წინა ორ პიროვნებასთან შედარებით განსხვავებულია. მის პოსტებში იკვეთება მკვეთრად მემარცხენე პოლიტიკური იდეები. ის ხშირად აკრიტიკებს კაპიტალიზმსა და ლიბერალიზმს, რომელსაც, მისივე თქმით, ტერმინი „ბიოპოლიტიკა“ უფრო შეესაბამება.

მისი აზრით, მსოფლიოს მართავენ ვაჭარ-ბურჟუები, რომლებიც თანამედროვეობისთვის დამღუპველ მატერიალისტურ „ბიოპოლიტიკას“ ატარებენ. მთავარ პრობლემას ბიოლოგიური ინსტინქტების მონობაში ხედავს, რამაც დღეს მთლიანად კაცობრიობა მიიყვანა მატერიალისტურ-ტოტალიტარული კატასტროფის ზღვართან. განსაკუთრებით ეს პრობლემა აქტუალურია საქართველოში, სადაც „კიდევ უარესად არის ნეოლიბერალური ტერორი“. ის ყურადღებას ამახვილებს უმცირესობათა უფლებებზე. თვლის, რომ ღარიბებს ხმა საერთოდ არ გააჩნიათ და „ნეოლიბერალ ბურჟუებს ყველა ხმა ნაყიდი აქვთ“. არადა, სინამდვილეში ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია, რომ მდიდართა უპირატესობა მოისპოს და ეგალიტარიზმი დამყარდეს. თუმცა, სამწუხაროდ, ეს იდეა ჯერჯერობით პრაქტიკაში განუხორციელებელია, რისი მიზეზიც ელიტების მუდმივ მატერიალურ წინსვლაზე ფიქრია. ამის გამო თანამედროვე საქართველოს მდგომარეობა „ლიბერალური კაპიტალიზმის“ წყალობით ძალიან ცუდია. ქვეყანას „ყვავ-ყორანი ოლიგარქები დაჰპატრონებიან“, მოსახლეობაში კი ნიჰილიზმი სუფევს.

ამგვარი პოლიტიკური დღის წესრიგის გამოძახილად მევახშეთა მიერ მკვიდრი მოსახლეობის გამოსახლების პრობლემას მიიჩნევს. ის არაერთ პუბლიკაციაში საუბრობს ამ საკითხის შესახებ და თვითონაც აქტიურ მონაწილეობას იღებს მის გადაჭრაში. მაგალითის სახით მოვიყვანოთ 2023 წლის ხატიაშვილების ოჯახის გამოსახლების ფაქტი, რომელსაც ის ფართოდ გამოეხმაურა და ხალხს მხარდაჭერისკენ მოუწოდა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ნათლად დავინახოთ, რომ კერძო მევახშეები ათასობით ადგილობრივ მოსახლეს უსახლკაროდ ტოვებენ და საქართველოს მოსახლეობის „სოციალ-ეკონომიკურ გენოციდს“ უწყობენ, როდესაც საცხოვრისი ფართის ქონა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. კაკაბაძის აზრით, მევახშეთა ხალხზე ბატონობის დასრულება შესაფერისი კანონის მიღებითაა შესაძლებელი, რაც ამგვარ შემთხვევათა რიცხვს შეამცირებს.

მსგავს უსამართლობათა რიცხვი ბევრია, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ მის პუბლიკაციებში ანტიკაპიტალისტური და ანტილიბერალური ნარატივები ხშირად ვრცელდება. ის ეთანხმება ლენინისეულ თეზას: „კაპიტალიზმი თავადვე მოგვყიდის თავისავე ჩამოსახრჩობ თოკს“ და მიიჩნევს, რომ „საქართველო ვერასდროს გახდება ევროპის ნაწილი ოლიგარქიული, მევახშეების და ულტრა-კაპიტალისტური რეჟიმით“, რომელსაც მომავალი არ აქვს.

თუმცა, მას სჯერა პროგრესისა და წინსვლის, რაც სოციალიზმისთვის დამახასიათებელია. ხსნას ახალ თაობაში - ახალგაზრდებში ხედავს, რომლებმაც თავიანთი ღირსეულობა 2023 წლის მარტის საპროტესტო აქციებში წარმოაჩინეს და მაშინ, როდესაც უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტის შემოტანის ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს. კაკაბაძის აზრით, „მომავალი ეკუთვნის ახალ ძალებს, რომლებიც ახალ რეალობას კარგად იცნობენ, და, რაც მთავარია, რომლებსაც კარგად ესმით საქართველოს სულიერი მისია“. ის თვლის, რომ ახალი ძალების პოლიტიკა ორიენტირებული იქნება იმპერიალიზმის, ჩაგვრის, ძალადობის წინააღმდეგ. ამიტომ, თუ ჯანსაღი, პროგრესული პოლიტიკური ძალები გაერთიანდებიან და ერთად დადგებიან, ევროკავშირში შესვლის შანსი ბევრად გაიზრდება, რაც იქნება დიქტატურისგან გათავისუფლების ერთადერთი გზა.

ამის გარდა, ის უფასო ჯანდაცვის სერვისებს ემხრობა, რაც ძირითადი სოციალისტური პრინციპებიდან ერთ-ერთია. ის მიიჩნევს, რომ „სოციალური მედიცინა არის სახელმწიფოს ვალდებულება. ჯანმრთელობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. ამ უფლების არ-განხორციელება არის დანაშაული. მთავრობას ევალება რომ მისი მოქალაქეების და მით უმეტეს ბავშვების ჯანმრთელობა დაიცვას.“ მისივე თქმით, კაპიტალიზმი ამ უფლებას ადამიანებს ართმევს, რითაც სახელმწიფოს აზრი ეკარგება. ამიტომ, როდესაც შესაძლებლობა ეძლევა, ირაკლი კაკაბაძე ღიად გამოხატავს საკუთარ პოზიციას და აქციებშიც აქტიურად იღებს მონაწილეობას. მაგალითად, 2023 წლის აპრილში, აქონდროპლაზიასთან დაკავშირებით გამართულ აქციებზე, ის ითხოვდა მშობლების მოთხოვნების უმალვე დაკმაყოფილებას. ამასთანავე, მშრომელების საერთაშორისო დღეც აღნიშნა და აუცილებლად მიიჩნია სოციალური სამართლის დამყარება აღნიშნული პირობებით: „სოლიდარობა დედებს, წამალი ბავშვებს!“, „სახლი ყველას!“, „უფასო საკვები ბავშვებს“, „მოგვეცით ძიძებს წვდომა ჯანდაცვაზე!“, „კაპიტალიზმი არ მუშაობს!“, „შეჭამე მდიდარი!“, „უფასო საკვები სკოლებს“, „ჩამოწერეთ სესხები“.

ამრიგად, ირაკლი კაკაბაძე მკვეთრად მემარცხენე პოლიტიკური იდეებით ხასიათდება. ის მიიჩნევს, რომ თანამედროვე საქართველოს მთავარი პრობლემა ფსევდოლიბერალიზმის, კაპიტალიზმისა და ოლიგარქიის გაბატონებაა. ამავე დროს ხალხი ძალაუფლებას მოკლებულია. ამიტომ, ის აუცილებლად თვლის ისეთი ძირეული რეფორმების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს პოლიტიკური სისტემის, ეკონომიკის სრულმასშტაბიან გარდაქმნებს. ამასთანავე, ინდივიდზე მორგებულ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, რომელიც ხალხს სოციალური მდგომარეობის მიუხედავად თანაბარი პირობებითა თუ შესაძლებლობებით აღჭურვილ გარემოში ცხოვრების საშუალებას მისცემს. იმედს იტოვებს, რომ ისეთი საზოგადოება ჩამოყალიბდება, რომლის საბაზისო მოთხოვნები - უფასო განათლება და ჯანდაცვის უფლება დაკმაყოფილებული იქნება. ასევე, მხარს უჭერს პროგრესს, ცვლილებებს, რასაც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაში, ხალხის ერთიანობასა და ახალ პოლიტიკურ ძალებში ხედავს. მისი აზრით, ერთხელაც მდიდრების უპირატესობა გაქრება, ხოლო უმცირესობის უფლებები გათვალისწინებული იქნება. ყოველივე ზემოაღნიშნული მისი სოციალისტური იდეოლოგიური ხედვების გამოხატულებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის უკეთ აღქსაქმელად, გთავაზობთ ცხრილს:

	ლაშა ბუღაძე (მემარჯვენე)	**ირაკლი კაკაბაძე** (მემარცხენე)	**ნათია ფანჯიკიძე** (ცენტრისტი)
განათლება	მისთვის განათლება თავისუფლების ტოლფასია. მიიჩნევს, რომ განათლება განვითარების ინსტიტუტია. მისი აზრით, ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლება აქვს, მიიღოს განათლება. მათ უნდა ჰქონდეთ თანაბარი შანსი, მიაღწიონ წარმატებას. მხარს უჭერს მასწავლებლებისა და მოსწავლეების წახალისებას	მიიჩნევს, რომ განათლების მიღება ყველა ადამიანისთვის უფასო უნდა იყოს, როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი საფეხურის. აკრიტიკებს კომერციალიზმს.	პრაგმატიზმს, სტუდენტებისთვის კონკრეტული სტანდარტების ჩამოყალიბებას უჭერს მხარს, რათა განათლების ხარისხი იყოს მაღალი. მნიშვნელოვანია მასწავლებელთა და ლექტორთა კვლიფიკაციის ამაღლება და მათი განვითარება.
ჯანდაცვა	ჯანდაცვის სერვისების მიღება უნდა შეეძლოს ყველას. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის თავისუფლება, რათა გადაწყვიტონ რომელი სერვისით ისარგებლონ - კერძო თუ საჯარო. სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს მედიკამენტების ნაწილს. აქტიურად საუბრობს რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.	ჯანდაცვის სერვისებს სახელმწიფო უნდა ფარავდეს სრულად. მედიკამენტებზე აუცილებელია დაბალი ფასების დაწესება სახელმწიფოს მიერ. დიდი მნიშვნელობა აქვს რთულ სამუშაო პირობებში თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას.	მნიშვნელოვანია ფასების კონტროლი მედიკამენტებზე. მიიჩნევს, რომ საჭიროა კერძო ჯანდაცვის ორგანიზაციების და სახელმწიფოს თანამშრომლობა. ასევე, მარკეტინგული რეფორმების გატარება. უფლება უნდა მიეცეს ყველა მოქალაქეს, თავად გააკეთონ არსებულ სერვისებს შორის არჩევანი
	„მედიის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება ეს არის ძალა“. მიიჩნევს, რომ მედიის გარეშე	უარყოფითადაა განწყობილი ქართული მედიის მიმართ. თვლის, რომ ინფორმაციას	თვლის, რომ მედია საუკეთესო საშუალებაა

სოციალური მედია და ტელევიზია	ვერ იარსებებს სამართლიანობა. თვლის, რომ მედია ხშირად ახალისებს აქტივიზმს, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან ადამიანები თავისუფლად აფიქსირებენ საკუთარ აზრს უკანონობის წინაამღდეგ. ამის მაგალითია კანონის „უცხოური აგენტების გავლენის შესახებ“ გაშუქება. მედია დამოუკიდებელია, რომელსაც მოქალაქეებზე დიდი გავლენა აქვს. მისი აზრით, დღეს ჩვენს ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს თავისუფალი მედიის შეზღუდვა, რის მაგალითადაც მას მოჰყავს „მთავარი არხის“ აღმასრულებელი დირექტორის დაჭერის საქმე. მისთვის არსებობს ისეთი ტელევიზიებიც, რომლნიც „ურეპუტაციონი“ არიან და პროპაგანდისტულ მანქანას წარმოადგენენ. დამოუკიდებელ მედიას ჟურნალისტები ქმნიან.	არასწორად აშუქებენ და ხშირ შემთხვევაში „ჩირქს“ სცხებენ უდანაშაულო ადამიანებს. მიიჩნევს, რომ ქართული ტელევიზიები ვერ იცავენ სიტყვის თავისუფლებას. თვლის, რომ თავად ხშირად ყოფილა ტელევიზიასა თუ ჟურნალისტისგან დისკრიმინაციის მსხვერპლი (მას ქსენოფობიაში დასდო ბრალი TV1-ის ჟურნალისტმა) მისი აზრით, სწორი იქნება თუ ტელევიზიაში უფრო ხშირად გაჟღერდება დემოკრატიული იდეები და ეთერს მეტად დაუთმობენ ყოველდღიურ პრობლემებს ჩვენს ქვეყანაში.	ოპონენტებს შორის დიალოგისთვის. ამასთანავე, დიდ ყურადღებას უთმობს დეზინფორმაციას.
ეკონომიკა	საკუთრება ყველაზე მთავარი ღირებულებაა ლიბერალური ეკონომიკისა, თუმცა ის თვლის, რომ დღევანდელ რეალობაში ქართველებს სახელმწიფო უსამართლოდ „აცლის“ ხელიდან საკუთარ ქონებას. მისი აზრით, კონსტიტუციონალიზმი კარგია, რადგან ხალხს ენიჭება ძალა, შეზღუდოს ხელისუფალი. თვლის, რომ დღეს სახელმწიფოს სრულიად საკუთარი ძალაუფლების ქვეშ აქვს მოქცეული სახელმწიფო ინსტიტუტები, რაც განპირობებულია საბანკო სისტემაში არსებული პრობლემებით, ლარის გაუფასურებით, სიღარიბით და სხვა სერიოზული	თვლის, რომ „ნეოლიბერალური კატასტროფის“ წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა, სადაც ღარიბებეს ხმა არ გააჩნიათ, რადგან ყველა ხმა „ბურჟუას“ აქვს ნაყიდი. ქვეყანა, სადაც გამარჯვებულია ის, ვინც კაპიტალისტი და მატერიალისტია. მიიჩნევს, რომ ყველას აქვს უფლება, ჰქოდნეს საცხოვრებელი სახლი, თუმცა იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი მევახშეების ხელშია, შეუძლებელია პრაგმატიზმსა და სარგებლიანობაზე ფიქრი. აღარ არსებობს საკუთრების პატივისცემა, ის რაც მოქალაქეებმა წინაპრებისგან მიიღეს. აღარ არსებობს თანასწორობა საზოგადოებათა შორის. ან ხარ ღარიბი და მშიერი, ან მდიდარი და	ემხრობა თავისუფალ ბაზარს, ბალანსირებულ რეგულაციებს. ასევე, პრაგმატული ნაბიჯების გადადგმას, რათა ბაზარი დაბალანსდეს. საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს ფისკალურ პოლიტიკაზე. ინვესტიცია მიმართულია განათლებისა და ინფრასტრუქტურისაკენ.

	პრობლემებით. ეკონომიკური განვითარება მიმართულია „ერთი კაცის“ გამდიდრებისკენ. ემხრობა თავისუფალ ბაზარს.	ოლიგარქი. ემხრობა სოციალური თანასწორობასა და დოვლათის თანაბარ განაწილებას.	

დასკვნა

ამრიგად, Facebook ბლოგინგი ცნობილ საზოგადო მოღვაწეთათვის საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის ეფექტური იარაღი აღმოჩნდა. დღესდღეობით, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი სოციალურ ქსელებს აქტიურად იყენებს, პუბლიკაციების გამოქვეყნება საქართველოში არსებული პრობლემებისა და მათი აღმოფხვრის შესაძლო ვარიანტების წარმოჩენის კარგი საშუალებაა. Facebook-ში, რომელიც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, პოლიტიკური საკითხების განხილვა აქტუალურია.

იდეოლოგიური ხედვებიდან გამომდინარე „პოსტების“ ავტორები აღნიშნულ სოციალურ ქსელში სხვადასხვა საკითხებს აყენებენ დღის წესრიგში, თუმცა შეინიშნება მსგავსებაც - თითოეული მათგანი მიიჩნევს, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია უმნიშვნელოვანესია. ახალგაზრდები კი პროგრესულ ძალად მიაჩნიათ, რომლებსაც ამ ცვლილების განხორციელება და სახელმწიფოს მომავალი კეთილდღეობის უზრუნველყოფა შეუძლიათ. თუმცა, ძირითადად, ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ თემებს ანიჭებენ მნიშვნელობას.

ლაშა ბუღაძის ხედვების გაანალიზების შედეგად შეგვიძლია გამოვკეთოთ ქვეყანაში გაბატონებული ლიბერალური პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ცვლილებებთან, მრავალფეროვნებასთან, თავისუფალი მედიისა და პლურალისტური დემოკრატიული ინსტიტუტების შენებასთან. აღსანიშნავია საზოგადოების როლი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფაში პოლიტიკურ პროცესებში მისი ჩართულობის გზით.

ნათია ფანჯიკიძე კი ცენტრისტული იდეოლოგიის გამომხატველია, რომელიც ემხრობა ადამიანთა ცხოვრებაში მთავრობის შეზღუდულ როლს, რათა პიროვნებებმა გააკეთონ საკუთარი არჩევანი და მიიღონ ინდივიდუალური გადაწყვეტილებები. სოციუმის მთავარ მიზნად მიიჩნევს ჰუმანური სახელმწიფოს მშენებლობას, რომელშიც ადამიანებს თავისუფლად მოქმედების საშუალება ექნებათ. მიუხედავად ცენტრისტული ხედვებისა, არსებობს გარკვეული საკითხები, რომელთა შესახებ მას მკვეთრად მემარცხენე ან მემარჯვენე შეფასებები აქვს.

ირაკლი კაკაბაძის მაგალითზე დაყრდნობით კი შეგვიძლია დავინახოთ საქართველოს მდგომარეობა და პრობლემები მემარცხენე იდეოლოგიის პრიზმაში, რომელშიც კაპიტალიზმისა და ლიბერალიზმის აღზევება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. გამოსავალი კი ინდივიდზე მორგებული სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაა, რომელიც ხალხს სოციალური მდგომარეობის მიუხედავად თანაბარი პირობებითა თუ შესაძლებლობებით აღჭურვილ გარემოში ცხოვრების საშუალებას მისცემს და ამასთანავე, ადამიანის საბასიზო მოთხოვნებს - უფასო განათლებას, ჯანდაცვას, საცხოვრებელი ადგილების უზრუნველყოფას, დააკმაყოფილებს.

ბიბლიოგრაფია

1. შამილიშვილი, მ. (2012). ქართული სამწერლო ბლოგინგის ზოგიერთი თავისებურების გამო. ჟურნალი „კრიტიკა“,# 7. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
2. ჰეივუდი, ე. (2003) "პოლიტიკა". მესამე გამოცემა. საქართველოს მაცნე.
3. Bakshy, E., Messing, S., & Adamic, L. A. (2015). Exposure to ideologically diverse news and opinion on Facebook. Science.
4. Ellison, N. B., Vitak, J., Gray, R., & Lampe, C. (2014). Cultivating social resources on social network sites: Facebook relationship maintenance behaviors and their role in social capital processes. Journal of Computer-Mediated Communication.
5. Habermas, J. (1989). The Structural Transformation of the Public Sphere: An Inquiry into a Category of Bourgeois Society. MIT Press.
6. "Internet and Social Media Usage in the South Caucasus." (n.d.). CRRC (Caucasus Research Resource Centers) Blog. Retrieved from https://crrc-caucasus.blogspot.com/2015/08/internet-and-social-media-usage-in.html
7. Jungherr, A. (2016). The logic of political coverage on Twitter: Temporal dynamics and content. Journal of Communication.
8. Papacharissi, Z. (2016). Affective publics: Sentiment, technology, and politics. Oxford University Press.
9. Tufekci, Z. (2014). Big Questions for Social Media Big Data: Representativeness, Validity and Other Methodological Pitfalls. In Eighth International AAAI Conference on Weblogs and Social Media.
10. "Why Do People Use Facebook?" (2023). Oberlo. Retrieved from https://www.oberlo.com/statistics/why-do-people-use-facebook?fbclid=IwAR36JdrmTcml-BIh9yH4f-dAYYCglZ__M-l1SHPzVDcPuyGV0YKNY4dCORM